



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №27

2018 წლის 16 თებერვალი

ქ. ლაგოდეხი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ გაუქმების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 30-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) 35-ე მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად, აგრეთვე საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-ე მუხლის თანახმად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით :

მუხლი 1

ცნობად იქნეს მიღებული ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ გაუქმება.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ შექმნის ცნობად მიღების და ფრაქციის თავმჯდომარისათვის თანამდებობრივი სარგოს დანიშვნის შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №57 განკარგულება.

მუხლი 3

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარის მოადგილისათვის თანამდებობრივი სარგოს დანიშვნის შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის №17 განკარგულება.

მუხლი 4

განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

მუხლი 5

განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, მისამართი: ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

საკრებულოს თავმჯდომარე



კარლო ჯამბურია